## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

# ო ქ მ ი#16

26 ნოემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გრიგოლ ტაბეშაძე

ფრიდონ მაჩიტაძე

მურად ბურჯანაძე

თემურ მინაძე

მამუკა გორგოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: მიხეილ სახამბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე

2. გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მიხეილ სახამბერიძე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1** კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი:ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს ქ. ბაღდათში გზებთან მიმართებით კერძოდ ჯაფარიძეების უბანში თუ ხდება გზასთან დაკავშირებით პროექტირება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა სიმონ ჭოლოკავას, რომ ქ. ბაღდათში ჯაფარიძეების უბანში გზასთან დაკავშირებით თუმცა იგეგმება პროექტირება, ჯერ-ჯერობით არ არის ჩასმული

კომისიის წევრი: მამუკა გორგოძემ განაცხადა,რომ ადრეც იგეგმებოდა რამოდენიმე წლის ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაო გეგმა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ განაცხადა,რომ დაკორექტირება დაჭირდება ძნელია გათვლა რამოდენიმე წლის სამუშაო პროცესებზე ამ ეტაპზე უფრო 2021 წლის სამუშაო გეგმაზე შევთანხმდეთ რა თქმა უნდა საჭირო პროექტები სოფლებში უნდა განხორციელდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის

ბალანსზე რიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეტა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა მიხეილ სახამბერიძემ

კომისიის წევრი: ფრიდონ მაჩიტაძემ კითხვით მიმართა მიხეილ სახამბერიძე სად არი სეს ჯართი განთავსებული და რა არის მისი ღირებულება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა: მიხეილ სახამბერიძემ უპასუხა ფრიდონ მაჩიტაძეს, რომ ეს ძველი ჯართი არის განთავსებულია კომგანის ეზოში და მისი საბაზრო ღირებულება არის ამჟამად ერთი კგ.50თეთრი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ გაეცნო ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ. წარმოდგენილ საკითხს

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა